ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 122
ივნისის 8, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 122
ივნისის 8, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—21)

ჟირარდის მანუფაქტურების ს: აქც. საზ. საწყობი
სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა
მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუანტინი, მერველიე, ბრომე, ბრომე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის
საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი
ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.
დონნერი და ლეიტცი.
(100—60)

ისყიდება სურამში
იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი სააგარაკო ადგილები
„სანზეიმო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ **ფიჭვისა** და **მუხისა**, პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩაჟიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში (ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—5).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ამით აცხადებს, რომ კვირას, 8 ივნისს 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია

საზოგადო კრება
(გაგრძელება 1 ივნისის კრებისა)

საზოგადოების ახალის წევრების მისაღებად.

შემამულეთათვის საყურადღებოდ.

მსურს ვიყიდო ქ. ტფილისის მახლობლად, არა უშორეს 20 ვერსისა, ან რკინის გზაზე სადგ. კასპამდის **მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწა**, 2—10 დესიატინამდის, ერთ ნაჭრად. ამ რიცხვში სარწყავი ადგილი არა ნაკლებ 1 დესიატინისა; გაყიდვის მსურველთ მოგვმართონ წერილით „ივერიის“ რედაქციაში, ი. ნ—ს.

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლაში, კვირას, 8 თიბათვეს 12 საათიდგან გამოფენილი იქმნება მოწაფეთა ხელსაქმე: საცვლები, კაბები, აბრეშუმის ძაფით ნაქარგი სხვა-და-სხვა სამკაული.

ქალთა ამხანაგობის გამგეობას იმედი აქვს, ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს.
ბარონის ქუჩა, № 12.
(2—2)

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

შემთხვევით იყიდება
იაფად
ვერაზედ საუფლისწულო სარდაფის მახლობლად **ორ-სართულიანი სახლი ფლიგელებით** (30 ოთახი, 9 სამზარეულო, 4 მოსამსახურის ოთახი და 4 სარდაფი). მიწა 120 ჩორსი საჟენია. ბანკის ვალი—14.900 მან. ნაღდად საჭიროა **მხოლოდ** 5,000 მ.
მსურველთ მიჰმართონ გრ. ყიფშიძეს „ივერიის“ რედაქციაში. (5—4)

ხვედურეთის
აბანო.
ვისაც სურს ისარგებლოს ხვედურეთის აბანოთი, **რომელიც სამაგალითოდ რგებს ქარებითა** და სხვა მრავალ ავადმყოფთ, ვაცნობებთ, რომ ამ აბანოზედ ბანება დაიწყება **15 ივნისიდან.** საბანებლად მოსულთ შეუძლიანთ იაფ-ფასად ისარგებლონ **ახლად შეკეთებულ ოთახებით და სამზარეულოთი** და აგრეთვე მოსამსახურით და სანოვაგით; საზოგადოდ ყოველი ზომაა მიღებული, რომ სურვილისამებრ ყველა კარგად იყოს მოწყობილი. ქარელის სადგურსა და აბანოს შუა (3 ვერსის მანძილია) ივლის ყოველ დღე ლინეიკა. დაწვრილებითი ცნობებისთვის, მსურველთ ვსთხოვთ მიჰმართონ ქარელის სად. საციციანო კანტორას. ტფილისში—ნ. ს. ციციშვილს (თუმანოვის ქუჩა) და „ივერიის“ რედაქციაში სოფ. ციციშვილს.
(3—143—1)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ზძილიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

კერძო სამკურნალო
ექიმის მუსხელაშვილისა
(გედევანიშვილისეული)
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
მ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. ზედგინიძე—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.
ზრ. ზ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი, 8 ივნისი,

დღევანდელს ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნის ღვარდიელისა ტფილისში ხორცის ვაჭრობის შესახებ. წერილის უმთავრესი აზრი ის არის, რომ ქალაქი არ უნდა შეუშინდეს იმ ზარალს, რომელიც ჰნახა ხორცის დუქნების გამართვისა და მოწყობის საქმეშიო. ეგ საქმე ახალი საქმე იყო ქალაქისათვის, ქალაქის თვითმმართველობას საჭირო გამოცდილება და საქმის ცოდნა არა ჰქონდა და ამიტომ ზარალი წინდაწინვე მოსალოდნელი იყოვო.

ამ ზარალის გამო ერთი ნაწილი ხმოსნებისა შეშინდა და თხოულობს დუქნების დაკეტვას და ხორცის ვაჭრობის მოსპობას, მაგრამ ასეთი შიში უსაფუძვლოა და არ წარმოდინარეობს მკვიდრთა ინტერესების ღრმად შეგნებისაგან. ამიტომ მეორე ნაწილი ხმოსნებისა, პირ-იქით, თხოულობს, რომ ქალაქმა კვლავ განაგრძოს საქმე ხორცის ვაჭრობისა და არ შეუშინდეს იმ მცირეოდენს ზარალს, რომელიც პირველს ცდას მოჰყვა.

ჩვენის ფიქრით, მართლა არას ემგვანება, რომ ქალაქმა ასე მალე დაანებოს თავი ისეთს საქმეს, როგორიც არის ხორცის ვაჭრობა, ხორცის ვაჭრობის მუნიციპალიზაცია. ხორცი ერთი იმ სანოვაგეთაგანია, რომლის ვაჭრობაც უსათუოდ უნდა გაწეს-რიგებული იყოს კეთილ-განწყობილს ქალაქში.

როგორც განათება, სისუფთავე, მკვიდრთა ჯანმრთელობა, სასმელი წყალი, ისე ხორციც სასურველია და საჭირო ქალაქის ხელში იყოს, რადგან ქალაქის თვით-მმართველობას უფრო მეტი ღონისძიება და უკეთესი ორგანიზაცია აქვს, გაუძღვეს ამისთანა საქმეს.

ავიღოთ, მაგალითად, სუფთა სასმელის წყალის საქმე. ჩვენმა ქალაქმა 15 წელიწადია წყალის გამოყვანა იკისრა და აგერ რამდენი ხანია ამ საქმიდან მოგება აქვს და არა ზარალი, მართალია, ქალაქის წყალ-საყვანი ნაკლულევანი აღმოჩნდა და იმდენს წყალს არ იძლევა, რამდენიც საჭიროა მკვიდრთათვის, მეტადრე ზაფხულობით, მაგრამ მაინც ამ საქმის მოწყობით ქალაქმა ის სიკეთე შესძინა მცხოვრებელთ, რომ მარგებელს და წმინდა წყაროს წყალს აწვდის. რა მნიშვნელობა აქვს წმინდა და სუფთა სასმელს წყალს ხალხის ჯანმრთელობისათვის, ეს ყველამ კარგად უწყის. ამიტომ, ზარალიც რომ ენახა ქალაქს ამ საქმეში, არ უნდა შეშინებულიყო, რადგან სამაგიეროდ ქალაქის ჯანმრთელობა ბევრსა ჰმატებდა.

ასევეა საქმე განათებისაცა, სისუფთავისაცა, კანალიზაციისაცა და სხვ. ასევე უნდა იყოს ხორცის საქმეცა. რასაკვირველია, კარგია და სასურველი, რომ ქალაქმა ხორცის ვაჭრობაში არა ჰნახოს ზარალი და თავნზედ მაინც ივაჭროს, თავნს არა მოაკლოს-რა. მაგრამ თუნდ თავნიდანაც ჩამოვიდეს ფიქრი არ არის, ოღონდ-კი ვაჭრობა წესზედ სწარმოებდეს და ქალაქი უზრუნველი იყოს ისეთს საქმეში, როგორიც არის ხორცის საქმე, ოღონდ-კი ქალაქი მოახერხებდეს და ჰყიდდეს საღ საქონლის ხორცს უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომ ფასად.

ქალაქმა რომ ითავოს და მოახერხოს გაფართოვება ჩვენის წყალ-საყვანისა, ეცადოს და მეტი წყალი მიაწოდოს ქალაქს, არავინ დაენდურება, თუ ამისთანა დიდ საქმისათვის ცოტაოდენს იზარალებს კიდეც. ზარალი შემდეგის მოგებით დაიფარება, დაიფარება მაშინ, როცა საქმე მოეწყობა საბოლოოდ. ხორცის ვაჭრობის მუნიციპალიზაცია პირველი ნაბიჯია და პირველი ნაბიჯი, როცა საჭირო ცოდნა, საჭირო გამოცდილება არ არის, მუდამ ძნელია და საზარალო.

სკოლების საქმე და საზოგადოდ განათლების გავრცელების საქმეც ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა შორის პირდაპირ ზარალს აძლევს ქალაქის კასას, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ქალაქმა სწავლა-განათლებისათვის არ უნდა იზრუნოსო? ამ სახითვე, ქსენონების და სამკურნალოების დამართვა, სნეულთათვის წამლების უფასოდ დარიგება ღარიბ ავადმყოფთათვის, სანიტარულ საქმის მოწყობა სულ ხარჯს ითხოვს და პირდაპირ შემოსავალს არ იძლევა, მაგრამ განა ეს საბუთია იმისი, რომ სთქვას ვინმე, ფულს რად ვხარჯავთ ასეთის საქმეებისათვის, ჩვენს კასას აკლდება ამითიო?

ნამდვილად-კი, არსებითად, ყოველი გროში, რომელსაც ქალაქი ახმარებს ან სწავლა-განათლებას, ან სისუფთავესა და საჰიგიენო ვითარების განკარგებას, ან ავადმყოფთა მოვლას, ერთი ათად და ასად უბრუნდება ქალაქს იმ სიკეთის სახით, რომელსაც კეთილ-განწყობილებას, ჯანმრთელობის და შეგნებულ მოქალაქობრივობას ეძახიან.

მხოლოდ კეთილ-განწყობილს, ჯანმრთელს და შეგნებულს მოქალაქეს შეუძლიან იხადოს საქალაქო ხარჯი უკლებლივ, სავსებით და შეძლება მისცეს ქალაქს იოლად აწარმოვოს თვისი საქმე და პირნათლად გაუძღვეს ქალაქის რთულს მეურნეობას.

მაშ, ასე: ოღონდ ქალაქმა მისცეს მცხოვრებთ სისუფთავე, სისაღე, ჯანმრთელობა, განათლება და ნუ ინაღვლებს, თუ ამ სიკეთის ნაცვალს ფულადვე ვერ აიღებს მაშინვე. რაც ამით ქალაქს ზარალი მოუვა, შემდეგ შეავსებს, შეივსებს მით, რომ კეთილ-განწყობილ ქალაქის მცხოვრებნი, ჯანმრთელნი და შეგნებულნი, განვითარებულნი მოქალაქენი უფრო მეტს იმხნევებენ, უფრო ნაყოფიერად იშრომე

ბენ და ამიტომ არც ხარჯის გაღება გაუჭირდებათ ქალაქის სასარგებლოდ, ქალაქის კიდევ და კიდევ უკეთ მოსაწყობად, ასაყვავებლად.

ტფილისი

◆ დღეს, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია გაგრძელება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა კრებისა, რომელმაც უნდა მიიღოს ახლად ჩაწერილნი საზოგადოების წევრობის მსურველნი.

◆ სამშაბათს, 10 ივნისს ჩამოვა ტფილისს პროფესორი ნ. ი. მარი, რომელიც ჩამოხდება „სევერნი ნომრებში“. იმავე დღეს, საღამოს 5 საათზედ პროფესორთან მიწვეულნი არიან ჩვენის ქვეყნის ძველის ნაშთების მცოდნენი, რომელთანაც მოლაპარაკება ექნება ძველ წარწერების შესახებ. როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რუსეთის საარხეოლოგიო საზოგადოება ამ წარწერების კრებულს ამზადებს ცალკე დასაბეჭდად და ეს შრომა ბ-ნ მარს დაავალა.

◆ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული მედვედევი ტფილისს დაბრუნდა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ, რა განკარგულება მოახდინეთ პოლიციის მოხელეთათვის ჯამაგირის მიმატების შესახებ და ყველა დააკმაყოფილეთ კუთვნილის ჯამაგირით თუ არაო.

◆ ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ამ წლის განმავლობაში ქალაქის სხვა-და-სხვა ქუჩებში ასი ახალი ფანარი დასდგას და ასიც მომავალ წელს.

◆ სოხუმის ქალაქის საზოგადოება სთხოვს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 2 კლასიანი სკოლა დააარსოს სოხუმში, რომელსაც თვით საზოგადოებაც დაეხმარება.

◆ ქალაქის მოურავს თავ. ნ. ვ. არღუთაშვილს-მხარგრძელს გუშინ მოელოდნენ ტფილისში, პეტერბურგიდგან მომავალს.

◆ უმაღლესის ბრძანებით, მომავალ 1904—1906 წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიის გლეხობას შეაწერეს სახელმწიფო საიჯარო გარდასახადი: ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში—484 მან. ქუთაისის გუბერნიაში—174,000 მან. გარდასახადი გამოერთმევათ სოფლად მოსახლე სახელმწიფო გლეხებს. საადგილ-მამულო გარდასახადი ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში შეადგენს 82,687 მ., როგორც მკითხველებს ეხსომებათ, უმაღლესის მანიფესტის ძალით საადგილ მამულო გარდასახადიდგან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურნი თავისუფალნი არიან 1902—1906 წლების განმავლობაში.

◆ ქალაქის გამგეობის წევრს ბ-ნ კაჰკაჰევს განუზრახავს წინადადება შეიტანოს გამგეობაში, რომ სახელოსნო სასწავლებელთან დაარსდეს პანსიონი. ეხლა შეგირდები კერძო სადგურებში ცხოვრობენ და ბევრი მათგანი დიდს გაჭირებაშია.

◆ წელს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში შეგირდების გამოცდა გათავდა 3-ს ივნისს. ამ სასწავლებელში სწავლა დაასრულა ორმოცმა მოსწავლემ, მათში 14 ქართველია, 16 სომეხი, 7 რუსი და 3 გერმანელი. ქართველების ვინაობა: ახობაძე, ბოჩოიძე, დიბიჩაძე, ქლენტი, ბოლქვაძე, იორამაშვილი, ლეჟავა, ნასიძე, შუბლაძე, ურუშაძე, ცულაია, ფერაძე, ჯაფარიძე და იაშვილი.

◆ ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა შესტაკოვმა განუცხადა თავის ამხანაგებს და სთხოვა ჩასწერონ ოქმში, რომ გამგეობის მდივანი მეტად გვიან ამზადებს გამგეობის სხდომის ოქმებს და ისე უყურადღებოდა სწერს, რომ თვით ბ-ნი შესტაკოვი მათ შესწორებაზე ბევრს დროსა ჰკარგავს. ამის გარდა ქალაქის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა იმიტომ უფრო გვიანდება, რომ გამგეობის მოხელენი თავის დროს არ აძლევენ საბუთის ქაღალდებს, ისე რომ ცალ-ცალკე უნდა მოითხოვოს ეს საბუთები და უცადოს იმათ მოგროვებას.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ რკინის გზის მკურნალთა მომავალი კრება ტფილისში მოახდინოს. სხვათა შორის, ექიმებმა უნდა დაათვალიერონ სამკურნალო და ის ადგილები, სადაც სანატორიების გამართვა შეიძლება.

◆ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის მე-8 კლასში 5 ივნისს ეგზამენები დასრულდა და 6 ივნისს დაითხოვეს მოსწავლენი. გიმნაზია დაასრულა 66 კაცმა. აქედან რუსია 25, სომეხი—22, ქართველი—14, სპარსელი—3, გერმანელი—2. ქართველების გვარები: ანდრონიკაშვილი ნიკოლოზ, ზარაფიშვილი ვახტანგ, კარგარეთელი ევგენი, კორინთელი ნიკოლოზ, მახვილაძე ალექსანდრე, მაჭუტაძე დიმიტრი, წერეთელი ალექსანდრე, ციციშვილი ალექსანდრე, ერისთავი ალიბეგ, ბერძენიშვილი ირაკლი, ჯაფარიძე ანდრია, სეხნიაშვილი ილია, ქართველიშვილი ვარდენ და შათირიშვილი იოსებ. ექსტერნად ეგზამენი დაიჭირა 3 კაცმა, ამათგან ერთმა ქართველმა გრიგოლ აბდუშელიშვილმა. ოქროს მედალი მიიღო ვახტანგ ზარაფიშვილმა, ხოლო ვერცხლისა—ქართველთაგან კორინთელმა.

◆ წელს ტფილისის დედათა მეორე გიმნაზია გაათავა 60 ქალმა. 41 რუსია, 10 სომეხი, 5 ქართველი, 3 გერმანელი და ერთი ებრაელი. ქართველთა გვარები: ბარამიშვილი ნინო, გაბაშვილი ეკატერინე, გიგაური ელენე, ქართველიშვილი ქეთევან და პაპავა მარიამი. ეკატერინე გაბაშვილმა ვერცხლის მედალი მიიღო.

◆ ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნაკი: „მოკლე ისტორია საქართველოსი“, შედგენილია ვ. ო. ურუშაძის მიერ. წიგნაკში წმ. ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ვახტანგ VI—კანონმდებელი, ერეკლე მეფე და გიორგი XII. ღირს 25 კ.

◆ ჩვენ მივიღეთ შემდეგი განცხადება ექიმის ვახტანგ დამბაშიძისა, მშობელთა საყურადღებოდ.

ამ ზაფხულს განვიზრახეთ ერთ-ერთ მთა-ადგილს მოზარდ ქალ-ვაჟთათვის ახალშენის გამართვა, იმის მიბაძვით, როგორც ეს შემოღებულია დიდის ხნიდგან გერმანიასა და საფრანგეთში.

ამგვარ დაწესებულებას მიზნად აქვს ბავშვების დასვენება, ჯანმრთელობის მოღონიერება, სხეულის გამაგრება და ფიზიკური კეთილ-დღეობის მოხვეჭა მოზარდისათვის; ერთის სიტყვით იმის მონიჭება, რაც ეხლანდელ დროს ცნობილია უებარ სამკურნალო საშუალებად.

მთა-ადგილის წმინდა ჰაერი და სხვა ბუნებრივი თვისება კარგად მოქმედებს ყოველ აგებულებაზედ და განსაკუთრებით მასზედ, ვისაც რაიმე სისუსტე აქვს.

მეტადრე უხდება მთაზედ ყოფნა: ვინც სისხლნაკლებია, დასუსტებული და მოქანცული, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით, ან ზედმეტის შრომით; ვინც ნაავადმყოფარია და საკმაოდ მოღონიერებული არ არის, მეტადრე ვისაც ახალი გამოვლილი აქვს ფილტვის რომელიმე ავადმყოფობა; აგრეთვე ვინც მადა-დაკარგულია და ჭაობის ციებით (მალარიით) შეპყრობილი და სხ.

საზაფხულო ახალშენში მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები 8—16 წლამდე ვის ჯანმრთელობასაც რომელიმე ზემოხსენებული ნაკლი აქვს.

ახალშენი იქნება ექიმის ხელმძღვანელობაში.

ექიმობა იქნება უმთავრესად ბუნებრივი: წმინდა ჰაერზე ყოფნა, დასვენება, მრავალგვარი გასართობი და შექცევა, სხეულის ყოველგვარი ვარჯიშობა, სხვა-და-სხვა გვარი თამაშობა, სეირნობა, მოგზაურობა, ბანაობა, საერთოდ საუკეთესო ჰიგიენურ პირობებში ცხოვრება, ყოველივე მეცნიერულად შეფარდებული თვითეულ ბავშვის აგებულებასთან.

უხვი და შერჩეული საზრდოობა თვითეულის სხეულისათვის შერჩეული, დღეში 4—6 ჯერ.

ამ მიზნით ამ ზაფხულისათვის მიგვყავს მსურველნი ერთ-ერთ მთა-ადგილას, სადაც ყოფნის ხანა განსაზღვრულია 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

რადგანაც მსურველთა რიცხვის მიხედვით უნდა იქნეს ნავარაუდები ყოველი მოწყობილება, და რიცხვიც მისაღებ ბავშთა განსაზღვრულია, ამისათვის საჭიროა ეხლავე გვაცნობონ თავისი განზრახვა, ვისაც-კი ჰსურს შვილის დაბინავება ამ ახალ შენში.

ხორცის დუქნები და ქალაქის თვითმართველობა.

ხვალინდელ სხდომაზედ ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს კომისიის და გამგეობის აზრი ხორცით ვაჭრობაზედ და გარდასწყვიტოს ერთი იმ საგანთაგანი სამოქალაქო ცხოვრების შესახებ, რომლის დიადი საზოგადოებრივი მნიშვნელობა უმეტესობისათვის ბურუსით არის მოცული. ეს საგანი შეეხება ქალაქისაგან გამართულ ხორცით სავაჭრო დუქნების გაუქმებას, ან სხვა დონეზედ დამყარებას. დუქნების გაუქმების მიზეზად ასახელებენ იმ ზარალს, რომლის რაოდენობა, ერთის წლის განმავლობაში, გარდაემატა 20,000 მანეთს.

ბევრი უადგილო და უაზრო მითქმა-მოთქმა ისმის ხმოსანთა და მოქალაქეთა შორის ამ ოცი ათასი მანეთის შესახებ; ჩვენ-კი ჩვენს მსჯელობას ამ საგნის შესახებ ვამყარებთ რამდენჯერმე შემოწმებულს, ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტებზედ, მით უმეტეს, რომ ხორცით მოვაჭრე დუქნების დაბეჭდილი ანგარიში ხელთა გვაქვს, მითქმა-მოთქმის და ჭორების აყოლა, ისე როგორც ერთმა გაზეთმა ინება, ჩვენ სამარცხვინოდ მიგვაჩნია.

შარშანდელ ხმოსანთა საბჭო საუცხოვო აზრით ხელმძღვანელობდა, როცა ხორცით სავაჭრო დუქნების დაარსებას შეუდგა, მაგრამ, როგორც სჩანს ანგარიშიდგან, არც იმ „სახელოვანს“ და ყველასაგან ყბად-აღებულს ალიხანოვს, რომელსაც საბჭომ მიანდო ამ საქმის სულის ჩადგმა და წარმოება, არც კომისიის წევრებს, ხორცით ვაჭრობისა არა სცოდნიათ რა და არც სხვა ქალაქის მაგალითით შესძლებიათ ესარგებლათ. მთელს რუსეთის იმპერიაში ვერც ერთმა ქალაქის საბჭომ ვერ ითავა და ვერ გაბედა ხორცით ვაჭრობის დაწყება; ჩვენი გამოუცდელობა და საქმის უცოდინარობა შესაძლებელია შეავსო სხვის გამოცდილებით და ცოდნით; რადგანაც ეს წყარო ქალაქის საბჭოს არ მოეპოვებოდა, რაღა თქმა უნდა, ალიხანოვს და კომისიას უნდა ემოქმედნათ ალალ-ბედობაზედ, უგეგმოდ და უპროგრამოდ.

დღეს, ერთის წლის გამოცდილებამ, დაგვანახვა ბევრი შეცდომა. მაგალითად, მჭლე, დავრდომილ საქონელს მაშინვე ჰხოცავდნენ, საჭირო და სასარგებლო-კი ის იყო, რომ მჭლე საქონელი დაესვენებინად, კარგი პატივით გაესუქებინად და მერე დაეკლათ; ნაპატივებ, მსუქან-ნებივრებს ინახავდნენ, წამხდარ, ურგებს თივით ჰკვებავდნენ, ამ ნაირის მოუვლელობით საქონელს ამჭლევებდნენ, ან ჭირის მსხვერპლად ჰხდიდნენ, ან თითო ნებიერზედ ორ ფუთამდე ხორცს და ქონს ჰკარგავდნენ. საკლავ საქონლის მოვლის და შენახვის უცოდნელობამ ძლიერ დიდი ზარალი მისცა ქალაქსა.

უნებლიედ შეცდომა ბევრი სხვაც მოუვიდა, როგორც ალიხანოვს, აგრეთვე კომისიას და განსაკუთრებით თვალთ-მაქცურ ბუღალტერიას. ახალი კომისია ოთხი თვე ებრძოდა ამ უკუღმართად დაწყებულს და უკუღმართად შედგენილს ბუღალტერიას და ბოლოს, როგორც იქნა, დასძლია და რაც უნდოდა გაიგო.

ყველა შეცდომის აღნუსხვა ძრიელ შორს წაგვიყვანს და სჯობს ეს სამერმისოდ გადავსდოთ. ცხადია, საბჭოს რომ არ ეთავა და ამ საქმეს არ შესდგომოდა, არც შეცდომები მოუვიდოდა და არც ამოდენა ზარალს ნახავდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ უქნარობა, უმეცადინეობა, საქმიანობის რიდი და შიში იმ აზრით, რომ ზარალი არა ვნახოთო, სათაკილოა შეგნებულის, ნამდვილის თვით-მართველობისათვის, შემლახავია იმ დედა აზრისა, რომელიც უნდა სულდგმულობდეს და ამოძრავებდეს საზოგადოებრივ განვითარებას და წარმატებას.

ვისთვის და რისთვის იყო საჭირო დუქნების დაარსება? რასაკვირველია ღარიბთათვის, მოქალაქეთა უმეტესობისათვის, ამასთანავე სამართლიანობის დაცვისთვისაც, რომელიც აქამდე უკუ გდებულ იყო. ქალაქისაგან დაარსებულ დუქნებში სამის ხარისხის ხორცი იყიდება და ყოველ ხარისხზედ განსაკუთრებული ფასი არსებობს; როცა ყველა ხარისხის ხორცზედ ერთი საშუალო ფასია დადგენილი წაგებული გამოდის ღარიბი, რადგანაც ერთ გირვანქა ხორცში ორივე—მდიდარიც და ღარიბიც ერთ ფასს იხდის; როცა ხორცი სამ ხარისხად არის დანაწილებული და ყოველ ხარისხს თავისი ფასი აქვს, მდიდარი ეტანება პირველ ხარისხს, რომელიც ორის კაპეიკით მეტად ღირს საშუალო ფასზედ, ღარიბი-კი ეტანება მესამე ხარისხს, რომელიც ორისა და სამის კაპეიკით ნაკლებია საშუალო ფასზედ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ხორცი ორივესათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი სანოვაგე იყოს, მაგრამ ამასთანავე მდიდარმა მეტი უნდა აძლიოს გირვანქა ხორცში, ვიდრე ღარიბმა. ეს-კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ხორცი დანაწილებულია რამდენსამე ხარისხად (**сортировка**) და ამისდაგვარად არის ფასიც დაწესებული (**таксировка**).

ტფილისელი ალვირ ახსნილი ყასბები არასოდეს არც ხარისხს დაგიდევენ და არც დაწესებულ ფასს სჯერდებიან; პროტოკოლებით და სასამართლოს განაჩენით ისინი ვერ მოარჯულეს; პირ-იქით, უფრო გააბოროტეს და წააქეზეს სიავკაცეზედ ქალაქის დუქნების ქიშპობამ (**Конкуренція**) ყასბები მოარბილა, საგონებელს ჩააგდო, უზრდელ სიტყვა-პასუხს გადააჩვია. დღეს ყასაბი მყიდველს ელაქუცება, ქრთამსაც აძლევს, რომ ქალაქის დუქანს მუშტარი ჩამოაცილოს; ხორცსაც ბევრად უკეთესს ჰყიდის, ვიდრე წინად ჰყიდდა. ქალაქის დუქნები დამტკიცებულ წესს და რიგს მტკიცედ იცავდნენ, ყასბები-კი მესამე ხარისხის ხორცს პირველ ხარისხის ხორცის ფასად ჰყიდდნენ. რასაკვირველია, ყასბები მოგებაში იქნებოდნენ, ქალაქის დუქნები-კი იზარალებდნენ, მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ, ამ ზარალით ვინ სარგებლობდა? უეჭველად მესამე ხარისხოვან ხორცის მყიდველი—ღარიბი მოქალაქე, ის, ვინც 6—7 კაპეიკად გირვანქა ბეჭს და არტალას ჰყიდულობდა. ამ ფასად ყასაბი იმას ხორცს არასოდეს არ მისცემდა. მაშასადამე, თუმცა ქალაქმა იზარალა, მაგრამ ამ ზარალით რამოდენადმე ისარგებლა მოქალაქეთა უმეტესობამ.

ვურჩევთ ქალაქის თვით-მმართველობას, ამ გვარ ნაყოფიერ და სასარგებლო ზარალს ნურასოდეს ნუ მოერიდება.

ყველაფერზედ უაღრესს მნიშვნელობას ჩვენ ვაძლევთ იმ გარემოებას, რომ ამ ერთის წლის განმავლობაში ქალაქის საბჭომ შეიძინა ამ საქმეში დიდი გამოცდილება და უხვი საჭირო მასალა. დღეს, თუ მოინდომებს, საბჭოს შეუძლია ამ მასალით და გამოცდილებით მარჯვედ ისარგებლოს, დუქნების საქმე უკეთ მოაწყოს, ყოველივე შეცდომა და ზარალი თავიდგან აიცილოს, თვითონაც თავი ისახელოს და სხვასაც სარგებლობა მოუტანოს.

რუსეთის ყველა ქალაქები შეჰყურებენ ტფილისის სავაჭრო დუქნებს, ელიან საქმის დამთავრებას, რომ ტფილისის მაგალითს იმათაც წაჰბაძონ. ვნახოთ, ახლანდელ ხმოსანთა საბჭო მოინდომებს და გამოიჩენს ამ საქმეში სასიქადულო თავმოყვარეობას და შნოს, თუ არა? ან იქნება ორასი ათას მცხოვრების მოქალაქობრივი თავმოყვარეობა მისხლობით და გროშობით დაფასდეს?

ქალაქის თვითმმართველობას ბევრი მტერი ყავს, ამისათვის საბჭომ არ უნდა დაივიწყოს ერთი გარემოებაც: დღეს რომ დუქნები გააუქმოს, ხვალ-კი ისევ საჭიროდ სცნოს დუქნების არსებობა, ნებას მიიღებს თუ არა?

ქალაქის საბჭო, იმედია, ყოველ მხრივ განიხილავს და გამოარკვევს ამ საქმეს და თავის გარდაწყვეტილებას აუჩქარებლად წარმოსთქვამს.

აწინდელმა ხორცის კომისიამ შეისწავლა და შეიმუშავა ხორცით ვაჭრობის ყველა ანგარიში, გამოიკვლია დუქნების ღირსება და ნაკლულევანება, დარწმუნდა, რომ ადვილი

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

X

ფელეტონი

დილა

ზურმუხტ მდელოზედ მზის სხივნი
ბრჭყვიალებენ ათას ფერად;
ცაზე ვასკვლავნი არ ჩანან,
მზის სხივნი გაუხდენ მტერად.

—

მინდორი და ველი ჰხარობს,
ამკობს ბუნებას ბულბულის სტვენა;
მოხტის, ჩუხჩუხებს მდინარე,
გულს მიეცა შვება-ლხენა.

—

ჩიტი ბუდისთვის სძებნის ბუმბულსა,
ცქვიტად აგროვებს ღინღლებს მეცრხალი,
ყვავი ჩხავილით მიჯნურს ეძახის,
ტყიდან გამორბის კურდღელი მხდალი.

—

მწყემსსა მიუდის ნახირი ველად,
სალამურის ხმით აქებს ბუნებას;
ხარობს თვით ზეცაც...
მუშაკიცა ჰგრძნობს ლხენას & შვებას...

პატარა ხონელი.

—

სიტყვის ქადილი.

ჩემს ირონიას ვერვინ გაუძლო,
ყველასა ჰკაწრავს, როგორც რომ ცაცა...
არც მეშინიან, ყველაფერსა ვწერ,
ფეხს მაგრა ვდგამ, რად მინდა ძიძა!..
ხანდახან მკითხველთ, დასწყევლოს ღმერთმა,
სულ უკუღმართი აზრი გამოჰყავთ,
მაგრამ მე რავქნა! თავს სხვა უნდოდა,
სიტყვას და კალამს სულ სხვა გამოჰყავთ.

პოეტ-რომანისტის ძღვენი.

ქვეყანაა უკუღმართმა
გაგარისხ-დაგაღონა,
სანაცვლოდ მისთავაზე
სასჯელათ ლექსთა კონა!
მაგრამ არც ეგრე გცოდა,
ჭირი დაურთე ხველას...
შენმა პროზამ დააკლო
ათი წელი სულ ყველას.

დიდი მარხვა.

მაგრამ რას ვერჩი ქართველს მკითხველსა,
ის ხომ არაფერს არა კითხულობს!
ქართული მწერლობის ელის გაფურჩქვნას
და მოლოდინში წუთსა მარხულობს.

ივ—ლი.

—

ტფილისი

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ცნობილს მხატვარს შმერლინგს დაუხატავს შესანიშნავი კარიკატურა, რომელიც მომავალ კვირას, 15 ივნისს, დაიბეჭდება „ცნობის ფურცლის“ დამატებაში აი, რას წარმოადგენს სურათი: „წიგნების-გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის წევრთა ალვირები აქვთ ასხმული; წელამდე ადამიანებს წარმოადგენენ, წელს ქვემოდ ცხენს; ადგიათ ყველას ერთად ერთი დიდი ურიული კები, ზედ გადამჯდარა „ცნობის ფურცლის“ რედაქტორი და სადღაც მიაჯირითებს.

— ტფილისში ხორცის მაზანდამ ძალიან დაიწია: ქალაქის საყასბოთა გამგენი ყასბებზე შვიდ კაპეიკად ჰყიდიან ხორცსა, ცოდონი არიან, დიდს ზარალში შევიყვანეთო. მცხოვრებლებზე-კი ისევ სამ შაურად და აბაზად ჰყიდიან, ამათ არა უშავთ-რა, დიდი თავები აქვთ, აიტანენო.

—

— ქალაქის მეათე ნაწილში ვიღაც მუშას მილის წყლიდამ წურბელა ჩაუტანებია წყლისათვის, სასაში მოჰკიდებია და სისხლისაგან დაუცლია, საბრალო გარდაიცვალა. ქალაქის გამგეობის ხმოსან-ექიმთა გამოკვლევით ცხენის წურბელა ყოფილა, ამიტომ მუშას ვერ აუტანია, ხელიკი-კი რომ გადაეყლაპნა, არა დაუშავდებოდარაო; მადლობა ღმერთს, მუშა იყო უპატრონო; „ტუზს“ ვისმეს რომ გადაეყლაპნა, „პოდსუდს“ ვერ ავცდებოდითო.

—

ჩვენებური ამბები.

დაბა ცხინვალი. ღრმა საღათას ძილით შეპყრობილს ცხინვალის ინტელიგენციას გამოღვიძებია *), ხელი-ხელს გადაუხვევიათ ქართველებს, სომხებს, ოსებს, ურიებს და იღვწიან საერთო წარმატებისათვის. **) —გაუხსნიათ სამკითხველო. წიგნთ საცავი და თავპირს ანტკრევენ ერთ-ურთს მკითხველები:— არა მე უნდა წავიკითხო, არა მეო. ისეთი ტაციობაა თურმე წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებისა, რომ საბრალო სამკითხველოს გამგეს მოსვენება აღარა აქვს და ლამის შიმშილით სული ამოხდეს. ასე გასინჯეთ: ამას წინად მოსულიათ ქალებს კინკლაობა და ქოლგებით დარევიან ერთმანეთს. შეუკეთებიათ სცენა, შეუძენიათ დეკორაციები და ყოველ დღე იაფ-ფასიანს წარმოდგენებს უმართვენ გონებით ბნელს, ღატაკს მუშა-ხელოსანს ხალხს. განძრახვა აქვთ მოსპონ ცხინვალში „ვერტუშკა“, ლოტო-ნარდის თამაშობა იმათ შორისაც-კი, რომელთაც ბანქოობა ცხოვრების საგნად და ხელობად გაუხდიათ. როგორც ხედავთ, მკითხველო, დიდი ბედნიერება დასტეხია დ. ცხინვალს თავზე,—არა, არა, მოგონილი ოცნებაა სწორედ, მოგონილი?!!

პაშტა.

სოფელი ერედვი. ერედველებს შეუკრეფიათ გაფლანგული სკოლის შენობის მასალა, ფული, აუშენებიათ ერთ სართულიანის მაგივრად ორ სართულიანი სახლი და სამრევლო სკოლის მაგივრად ორ კლასიანი სკოლა გაუხსნიათ სამეურნეო განყოფილებით.

აუარებელი მოსწავლენი თურმე დადიან, სკოლის ორთავ-სართული გაჭედილი თურმეა. ვის უთავნია, არ ვიცით. უნდა-კი მოგახსენოთ, რომ დიდი თავისა და ჭკუის პატრონი უნდა იყვეს, ვიღაც არის, თუ ეს მართლა მოახერხა. მე-კი ღმერთმა ნუ დამაჯეროს, მკითხველო, და თქვენც გირჩევთ არ დაიჯეროთ, რადგან ერედველებს მეტ ბარგად მიაჩნიათ თვალის გახელა.

ცრუაძე.

—

ნარევ-ნაკვეს გასართობი.

მოგეხსენებათ ძველ დროში, ლეკიანობას, ყოველ სოფელში უთუოდ ციხე-კოშკები იყო, რომელთა ნაშთნი დღესაც არიან; გაჭირვების დროს ხალხი თავს ამ ციხე-კოშკებს შეაფარებდა ხოლმე. 1840 წლებში ყვარელში დადიოდა ერთი ტფილისელი სირაჯი ღვინოების სასყიდლად. სოფელში უცბად გაისმა: „ჰარიქა, ლეკის ჯარი დაგვეცაო“,— და ერთბაშად ყველამ ციხეს მიაშურა; რასაკვირველია, სირაჯმაც მოჰკურცხლა, წამოეწია ერთს თავადს, რომელიც ციხისკენვე მიეშურებოდა; სირაჯმა შეასწრო და ამოიქაქანა. შიშმა გადაიარა; ხალხი ციხიდამ გამოვიდა, სირაჯმა ღვინოები იყიდა და დაბრუნდა ტფილისში. რამდენიმე თვის შემდეგ სირაჯი მოვიდა ისევ კახეთში ღვინოების საყიდლად. შეხვდა იმ თავადს, რომელიც მასთან ერთად ციხეში გარბოდა თავშესაფარად, ჰხედავს, რომ თავადს სისხლის ჯვარი ჰკიდია. სირაჯმა მოიკითხა და ცნობის მოყვარეობით ჩაეკითხა:

— კრიაზჯან, ეს რა არის, როდის მიგიღია?

— ესა? ჰმ! გახსოვს ციხეში რომ გავრბოდით, ლეკის ჯარი რომ დაგვეცა, ეს იმისთვის მომცეს.

— ვა, კნიაზჯან! მე უფრო ადრე არ შევედი ციხეში, მაშ მეც მამცემენ, რაღა! უთხრა ღრეჯით სირაჯმა.

არონა.

---

*) არის-კი ცხინვალში რანაირომე ინტელიგენცია?!! ასოთ-ამწყობის შენიშვნა.

**) ვითომ?!? შენიშვნა მისივე.

ამ საქმის მშვენივრად მოწყობა, ზარალის და შეცდომების თავიდან აცილება და ხორცით ვაჭრობის საბოლოოდ გარდაწყვეტა იმ ნაირად, როგორც ამას მოითხოვს თვითმართველობის სახელი და მოქალაქეთა ნამდვილი ინტერესი.

რა და რა ცვლილება არის საჭირო და რამდენი ფული დასჭირდება ამ საქმის განახლებას და გამოგვარებას, ამის შემუშავებული გეგმა უკვე წარედგინა ქალაქის გამგეობას. ქალაქის გამგეობამ და საბჭომ კარგად უწყიან, რომ იაფ ფასიან და ყუათიან სანოვაგის მოპოვების გაადვილება მოქალაქეთათვის უუპირველესი მოვალეობაა საზოგადოებრივ თვითმმართველობისა. ვისაც ამ მოვალეობის ძალი და მნიშვნელობა ვერ შეუგნია, იმას არც უფლება აქვს ქალაქის მცხოვრებთა ნამდვილ წარმომადგენლად ითვლებოდეს. მეცნიერები გვეუბნებიან და ჩვენც უნდა დავიჯეროთ, რომ სუფთა წყალი, ნოყიერი და ყველასათვის ხელმისაწდომი სასმელ-საჭმელი, სუფთა სადგომი, ყოველ უწმინდურებისაგან გაწმენდილი კარმიდამო აუძლურებენ და ნიადაგს უსპობენ ყოველგვარ სენსა და ბევრად უფრო სასარგებლოა ვიდრე ქსენონები, ექიმები და აფთიაქები.

მედგარ სხეულში მედგარი სული ჰბრუნავსო, გვარწმუნებდნენ რომაელები და ყოველ დღიური ჩვენი დაკვირვებაც ამას ჩაგვძახის; უსმელ-უჭმელობით დაქანცულს არ ძალუძს გამოიჩინოს ცხოვრებაში კაცური სიმხნე და ძლიერება; ამისათვის მალე იჩაგრება იმ ბრძოლაში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლა ეწოდება. ამნაირი ადამიანი ავადმყოფობისა და ყოველგვარ ცხოვრების ვარამთა მსხვერპლად ადვილად ჰხდება და ან უდროვოდ ეთხოვება წუთი სოფელს, ან სულით და ხორცით მახინჯდება. ავადმყოფთა, დავრდომილთა და მახინჯთა გამრავლება საზოგადოებას ასუსტებს, სახელს უტეხს და უზომო ხარჯშიაც შეჰყავს.

ჩვენის აზრით, ნამდვილი ზარალი ქალაქის თვით-მმართველობისათვის ის უზომო ხარჯია, რომელსაც ყოველ წლივ ეწევა ექიმებისა, ქსენონებისა, აფთიაქებისა, სულით ავადმყოფთა და დავრდომილთა თავ-შესაფარის შესანახავად. კარგ წყალზედ, პურზედ და ხორცზედ რამდენიც უნდა დაჰხარჯოს ქალაქმა, ზარალზედ ლაპარაკი უადგილო და უსაფუძვლო იქნება, ამისათვის რომ ნამდვილ უზომო საზარალო ხარჯისაგან საზოგადოებას ერთგულად და ბეჯითად იცავს კარგი სასმელი წყალი, კარგი სანოვაგე და სუფთა ჰაერი. ხორცით, პურით და წყლით სავაჭრო საზოგადოებრივს დაწესებულებას მოგება-კი არ ასულდგმულებს, არამედ ასულდგმულებს მარტო ერთი საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანის აზრა—ავადმყოფთა და დავრდომილთა შემცირება, ჯან-საღ მოზარდის თაობის აღორძინება, საზოგადოებაში სიკეთისა და რიგიანობის დამყარება, საზოგადოებრივ თვითმოქმედების გაძლიერება და სხვა-და-სხვა.

ამ გვარ სავაჭრო დაწესებულებათა ზარალი, არამც თუ მოსალოდნელია, ხშირად საჭიროცაა პირველ ხანებში, რადგანაც ზარალის შიში, თავის წმინდა მოვალეობის არ მცოდნე თვითმართველობა საღათას ძილს ეძლევა, ცდას და მოქმედებას ერიდება, უქნარობასა, უაზრობასა და ზანტობაში ვარდება. სიცოცხლე თუ დაუცხრომელი მოძრაობაა, უქნარობა და მცონარეობა სიკვდილის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

ვნახოთ, რას იტყვის ხვალ ეხლანდელი საბჭო და ან რაგვარ სულის კვეთებას გამოიჩენს! ვნახოთ, ვის გამოესარჩლება—ყველასაგან დაჩაგრულ ღარიბ მოქალაქეთა უმეტესობას და სამართლიანობას, თუ თავგასულ მდიდართა უმცირესობას და უსამართლო და ურიგო ძველებურ ხორცით ვაჭრობას.

ღვარდიელი.

კავკასია

ბაქო. მაისი მიიწურა. ჯერ კიდევ გრილა, მაგრამ ბაქოს მცხოვრებთ „ცმუტური“ დაემართათ, ტანის ქავილი აუტყდათ, თვალები გადასაფრენად მომართეს..:

აი, კიდევაც აბარგდნენ ჩვენი მაზუთიანცები. ბაქოს რკინის გზის სადგური მუდამ სავსეა: ზოგი კისლოვოდსკისაკენ მიეჩქარება, ზოგი ჟელეზნოვოდსკს, ზოგი ესენტუკს და ზოგიც ბორჯომ-სურამს უპირობს სტუმრობას—ცოლს, ქმარს, ვაჟებს და გასათხოვარ ქალებს ღიმილი ეხატებათ სახეზე: ყველას თავისი ანგარიში აქვს, ქმარი უფრო თავისუფლად იოცნებებს კაპიტალზე, ნავთის შადრევანებზედ; ცოლი... ინადირებს მინდორ-ტყეებში და შრავალს გააბამს თავის მახეში; ქალ-ვაჟები ისარგებლებენ მშობლთა უდროობით და ბაქოში დაწყებულ საშიკობას გაათავებენ იალაღზედ...

თავისათვის თავისუფლების მოყვარული აქაური ნავთის მწარმოებელი ძვირად უწილადებს ამ ბედნიერებას, თავის მოსამსახურე მოხელეებსა. მათთვის არ არის არც წასვლა, არც წამოსვლა, არც აგარაკობა და არც მგზავრობა; უნდა იჯდნენ წლიდან-წლამდე ბაქო-ბალახანაში, გამოიღმონ თვალები სხვის ქონების ცქერით. თუ გაუწყრა ვისმე ღმერთი და ითხოვა თავისუფლება,—მორჩა... ჯერ არ მისცემენ და თუ მისცეს, უკან აღარ მიიღებენ, ადგილი დაეკარგება.

აგერ ერთი თვეა თითქმის, რაც მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობნი გვესტუმრნენ. თუმცა აქედგან დიდძალი ხალხი წავიდ-წამოვიდა საგარაკოდ, თუმცა მრავალნი მალოროსების წარმოდგენებს და „ბუფს“ *) სწყალობენ,—მაინც მოსკოველ მსახიობთ შაურებელი არ აკლიათ. საუცხოოდ თამაშობენ ყველანი. ბ-ნმა იუჟინმა (თავ. სუმბათაშვილი), რიბაკოვმა, პრავდინმა და ქ-ბნ კოსარევისამ, ლეშკოვისამ დიდი სიმპატია დაიმსახურეს აქაურთა შორისაც.

უცხოეთი

აფრიკა. როგორც ფრანგული გაზეთები გადმოგვცემენ: საფრანგეთიდგან გაგზავნილს გენერალს ო'კონნორს, რომელიც უფროსობს ფიგიგის საწინააღმდეგო ექსპედიციას, სხვა-და-სხვა ტომთა წარმომადგენელთათვის ფიგაში მიუმართავს შემდეგის სიტყვით:

„საფრანგეთი მომთმინეა იმიტომ არის, რომ მოსილია ძალ-ღონით და სიმართლით, მხოლოდ სურს აქ ყოველთვის ბატონად იყოს. ოცი წელიწადი მეტია, რაც ადგილელები სცდილობენ თქვენთან თანხმობით, მშვიდობიანად იცხოვრონ, როგორც კეთილ მეზობლებს შეჰფერის. თქვენ-კი იმათ უსამართლოდ ეპყრობით, სცარცვავთ, არბევთ და ჰხოცავთ. ფიგიგი, ამ ორს წელიწადში ავაზაკთა ბუნაგად გადაიქცა. ასეთს უწესობას ბოლო უნდა მოეღოს,—და მოეღება კიდეც, გარწმუნებთ. ყველა ტომთა გასაფრთხილებლად მე დავიწყე ზენაგის დასჯით და, თუ საჭიროა, განვაგრძობ ამ სასჯელს. ვინც ახლანდელი საქმის მდგომარეობა არ იცოდნენ, გეუბნებოდნენ: ვითომ საფრანგეთს უნდოდა თქვენი დასჯა, იმიტომ რომ თქვენ მომხრობდეთ ტახტის მეძიებელს და წინააღმდეგნი გამხდარიყვენით სულთან აბდულ-აზიზისა. ეს ტყუილია და თქვენც შეგაცდინეს. არას დროს საფრანგეთი არ ემხრობა რომელსამე დასსა და არ ერევა მეზობლების საქმეში და თქვენც გაძლევთ სრული თავისუფლება ამ შემთხვევაში; თქვენს უფროსებს არავინ ართმევს უფლებას იმისათვის, რომ ტახტის მეძიებლის მომხრენი არიან, მაგრამ, ვისაც აქვს უფლება, ის პასუხსაც უნდა აგებდეს. და თქვენც პასუხი უნდა აგოთ იმ თავდასხმისათვის, რომელიც თქვენმა თემებმა მოახდინეს. საფრანგეთს როდი უნდა ამოწყვეტა და აოხრება ფიგიგისა, პირიქით, ჩვენ გვსურს მისი აღყვავება. ჩვენ გვინდა მივიყვანოთ რკინის გზა ფიგიგამდე და ამ გზის წყალობით ფიგიგს შეეძლიან გახდეს უმთავრესს ადგილად მაროკოს სამხრეთ დასავლეთ მხარისას და ისეთს კეთილდღეობას მიაღწიოს, რომელიც აქამდის არას დროს არ უნახავს. მაგრამ ყველა ეს შესაძლებელია მაშინ როდესაც მშვიდობიანად იცხოვრებთ თქვენს მეზობლებთან. მეც ამისთვის მოვედი აქ, რომ დავიცვა ეგ მშვიდობიანობა და ჩემს საწადელს მივაღწევ—კიდეც და არაფერს არ შევუდრკები.“

ავსტრია-უნგრეთი. ვენის პალატაში 28 მაისს ჩეხიის დეპუტატი რადიკალ კლოფაჩი შეეკითხა მთავრობას: ამიხსენით დაწვრილებით რა პოლიტიკას ადგია ავსტრია-უნგრეთი ბალკანეთის საქმეთა შესახებაო.

კლოფაჩმა ბალკანეთში მოგზაურობის დროს ვერ ინახულა მაკედონია, რადგან ოსმალეთმა არ მისცა ნება და ამიტომ დაჟინებით თხოულობდა. გაეგო ნამდვილი მიზეზი მთავრობისაგან თუ რა მიზეზით აქამდე ავსტრია-უნგრეთმა არ მიიღო ღონის-ძიება, რომ ოსმალეთს შეესრულებინა ბერლინის ხელშეკრულობა მაკედონიის შესახებ:

კლოფაჩი სასტიკად ჰკიცხავდა გრაფ გოლუხოვსკის პოლიტიკას აღმოსავლეთად და დამნაშავედ სთვლიდა ავსტრიის მთავრობას, არამც თუ უვარგის პოლიტიკურსა და ეკონომიურს მდგომარეობისათვის ბ-ს ნიასა და ჰერცოგოვინაში, არამედ მაკედონიისა და ალბანიის არეულობის ბრალსა სდებდა.

იგი ამტკიცებდა რომ ავსტრია უნგრეთი აგენტია გერმანიისა, რომელიც სულ იმას სცდილობს რომ ღვარძლი ჩათესოს ბალკანეთის სლავიან ხალხთა შორის და ამით შეასუსტოს იგინი. გრაფ გოლუხოვსკის პოლიტიკამ უკვე დაუძინებელ მტრად გადაჰკიდა სერბიელები და ბულგარელებიო. დროა ბოლო მოეღოს ამ გვარ პოლიტიკას. ცარცვა-რბევას ფრანცისკანებისა და იეზუიტების გარდა სხვა რამ გაგზავნოს ბალკანეთშიო.

მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა პასუხი გასცა კლოფაჩს და გამოესარჩლა გრაფ გოლუხოვსკისა და მის პოლიტიკას. კერბერმა განაცხადა, რომ დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ხელშეკრულობაზე ერთის აზრისანი არიან ამ ხელშეკრულობაზედ ავსტრია-უნგრეთიან და მოსწონთ მისი მოქმედება მაკედონიაში. მინისტრ-პრეზიდენტმა დასძინა, რომ პორტა თავის მხრივ ცდილობს შემოიღოს ის რეფორმები, რომელიც მას ევროპამ ურჩია.

წერილი
რედაქციის მიმართ.

I

პასუხად სოსიკო მერკვილაძის წერილის, რომელიც დაისტამბა „ივერიის“ №123-ში, მე, როგორც წევრი კომისიის, განსვენებული ივანე კერესელიძის საფლავზედ ძეგლის დასადგმელად ამორჩეული, ვაუწყებ ქართველ საზოგადოებს: სოსიკო მერკვილაძისგან შეკრებილი 134 მ. 25 კ. ძალიან სანდო ადამიანის ხელშია: ს. ჭრელაშვილთან არის დაცული და... იმედია, თავის დროზედ მოხმარდება იმ საქმეს, რომლისათვისაც გადადებულია.

ს. მგალობლიშვილი.

II

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს პატარა შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენდამი რწმუნებულ გაზეთ „ივერია“-ში.

შარშან, ე. ი. 1902 წელს, ენკენისთვეში მე დამნიშნეს ქართული ენის მასწავლებლად წმიდა ნინოს ქალების სასწავლებელში. არ შევეხები იმას, რა მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინვე ამ ჩემმა დანიშვნამ. ასეც უნდა მომხდარიყო და არც მიკვირდა, რადგან არავინ მიცნობდა.

აგერ გავიდა ერთი წელიწადი, და სასწავლებლის VII კლასის გამოცდის შემდეგ, მადლობა მივიღე ბევრისაგან. გამოცდას დაესწრნენ ისეთნი პირნიც, რომელნიც დიდად დაინტერესებულნი არიან ქართული ენის წარმატებაში და საპატიო ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში. მართალია, მე XIX საუკუნის ლიტერატურის შესახებ არაფერი დაუწერიათ VII კლასელებს, როგორც „ნოვოე ობოზრენიე“-ის კორესპონდენტი ანუგეშებდა საზოგადოებას, მაგრამ მცირე დროს შესაფერად შეისწავლეს ზოგი რამ, რაც უფრო საჭირო იყო ამისთანა ტემაზედ თხზულების დაწერას, თუ 3—4 წლის შემდეგ მოვესწრით, ღმერთს მადლობას შევსწირავთ: ჯერ ერთი ცოტა გაკვეთილებია ქართული ენისა და მეორე, როგორც ბ-ნმა ს. ხუნდაძემაც აღნიშნა, ქართული ენის სწავლა სავალდებულო არ არის სასწავლებელში და მოწაფეები გულ-მოდგინედ არ ეკიდებიან; ზოგისთვის სასწავლო წიგნიც-კი ვერ მოუგვიტანინებია გაკვეთილზედ.

ამ ერთის წლის განმავლობაში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესობას წმ. ნინოს სასწავლებელში ამტკიცებს თვით ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ს. დორთქიფანიძე (იხ. „ივერია“ № 117 და „ცნობის ფურცელი“ № 2167), რომელიც დიდი წინააღმდეგი იყო ჩემი ქართული ენის მასწავლებლად დანიშვნისა. ასეთი აზრის შეცვლა, ამისთანა ჭკუა დამჯდარი, განვითარებული და პატიოსან მოღვაწისაგან, როგორც თ. ს. დორთქიფანიძეა, მგონი უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

ამის შემდეგ გამომდგარან ზოგიერთნი ვაჟბატონები და გაიძახიან: „ეხლანდელი მასწავლებლები მცენარეს ფრინველისაგან ვერ არჩევდნე და ყაყაჩო ხეზედ ზის და გალობსო—აზეპირებინებდნენ მოწაფეებსო“. მღვდლების მასწავლებლად დანიშვნაც ძლიერ უხერხულად მიაჩნიათ, რადგან 840 მანეთად უფრო თავისუფალს კაც იშოვნიან. ნეტავი გამაგებინა, ასე რად ამცირებ ეს ვაჟბატონები, ან ქართული ენის მასწავლებ ლებს, ან მღვდლებს, თუ არ პირადი ანგარიშე ბისთვის? ბარემ ეთქვათ იმ დალოცვილებს, აგე აქა ვართ თავისუფალი, მოცლილი კაცები, თანა ზედმიწევნით ქართული ენის მცოდნენი, გამოგვდე ვიღაც მღვდელია და ჩვენ მოგვეცით ეგ ადგილი ყაყაჩოს მაგიერ ჩვენ აქედამს შევაჯდენთ ხეზე და გაურიყუნებიათ! ასეა თურმე წესათ განათლე ბულ ქვეყნებში, სხვა უნდა გაქელო, ტალახში ამოსვარო და შენ ისე ამაღლდე, განსაკუთრებ საფრანგეთში სამღვდელოებას დევნიან და საქარ თველოში მღვდელს რომ უბრწყინო მაინც, განათლებულს არ დაგიძახებენ. ერთი მითხარით თქვე მოცლილნო—ქართული ენის გულშემატკივარნო, რომელი ქართველი მღვდელი იცით, რომ მცენა რე ფრინველისაგან ვერ გაარჩიოს, ყაყაჩო ხ ზედ შეესვას და აგალობებინოს. ასეთი სიტყვ ბის თქმით ნეტავი რა გულშემატკივრობას იჩენ საზოგადოების წინაშე! სხვათა დამცირება და ფეხქვეშ გათელვა არ ვარგა, თორემ თქვე იცით!..

დასასრულ ვარწმუნებ პატივცემულ საზოგადო ებას და მოწაფეების მშობლებს, რომ მთელ წლის განმავლობაში, ჩემი მოუცლელობით, გ კვეთილი არ გამომიტოვებია. წინააღმდეგ, სხვა მაგიერადაც მე ვაძლევდი გაკვეთილებს; კითხე სასწავლებლის მთავრობას. იმდენი დრო და ენერ გია მაქვს, რომ შემიძლიან კვირაში 30 გაკვე თილი მივცე; ამას უსაფუძვლოდ არ ვამბობ; ვი საც სურს პირადად მოიკითხოს ახსნა.

რაც შეეხება იმას, ვიცი თუ არა ქართულ ენა.... ცოტა არ იყოს სახოთირო ამის შესახ ლაპარაკი: თავის ქება კიტრად ღირს. თუ ამ ე თმა წელიწადმა ვერავინ დაარწმუნა, დრო კიდე წინაა. ამასაც დავსძენ რომ უნაკლულო კაცთაგა არავინაა, შეიძლება სრულიად და უნაკლულოდ ვიცოდე ენა, მაგრამ ის იმედი-კი მაქვს, რომ საქმის სიყვარული ყველა ნაკლს შემივსებს.

თქვენი ღრმად პატივის მცემელი ქუთაისის წმ. ნ ნოს საქალებო სასწავლებლის ქართული ენის მასწა ლებელი მღ. ალ. მათიკაშვილი.

P. S. უმორჩილესად გთხოვთ „ცნობის ფურ ცლის“ რედაქციას გადაბეჭდოს ეს ჩემი წერილ

მღ. მ—შვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 ივნისს.

პეტერბურგი. 6 ივნისს სერბიის მეფი და დედოფლის სულის მოსახსენებლად გა დახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი.

ვარშავა. ვარშავიდან გაემგზავრნენ ს შუალო სასწავლებლის მოსწავლენი მოსკ ვსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა და ვოლგაში.

პენზა. გაიხსნა კურსები ერობის სკოლ ბის ორივე სქესის მასწავლებელთათვის.

ბელგრადი. 5 ივნისის ნიაღვარმა წალ

სამეცნიერო წერილები.

(ქართველ დიდებულ მეცნიერის ექიმი მიმინაშვილ ს განცხადება).

I.

მოვიგონე ახალი საშუალება ჯიბის ჭლექისა;—მართალია, ამ სენის მორჩენა არ შემიძლიან, მაგრამ იმის გაჩენა კი ჩემი ხელობაა და მიზანი. მაგ წამლის გამო მშვენიერი ადგილიც კი დავტოვე მიყრუებულ ღარიბ სოფელში და გადმოვვარდი ამ ახმაურებულ და ფულით ჩასუქებულ ტფილისში. იმედი მაქვს გულ-ჩვილი და მარადის კეთილ საქმეთა თანამგრძნობი ქართველი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ჩემს დაუღალავს შრომას ხალხის საკეთილდღეოთ და თავმომწონეთ იტრაბახებს ჯვარედინ გზაზედ, რომ ჩემისთანა დიდებული მეცნიერი გამოუჩნდა ქართველერს, მეც ჩემის მხრივ დიდათ მოხარული ვარ, რომ სწორეთ ქართველ საზოგადოების შვილი გახლავარ, ვინაიდან მხოლოთ აქ თუ შეიძლება ჩემისთანა უაღმატებულესი ნიჭის დაფასება, თორემ სხვა ცოტაოდენ რიგიან ქვეყანა'ში, ჩემისთანა პატიოსან კაცს ავაზაკსა და მატყუარას დაუძახებდნენ... დაძახებას ვინა ჩივის, სულ სახრით გააჭრელებდნენ...

აქ კი—ჩვენ კურთხეულ საქართველოში ჯერ ხანათ გასავალი აქვს ჩემი ხელობის ხალხს და ვსარგებლობ კიდეც...

ჩემ მიერ მოგონილ წამლის რეცეპტს აქვე ვაცხადებ, რომ ვინმე ეჭვის თვალით არ შემხედოს, ან ცუდათ არ მიხსენიოს:

უნდა ყოველ დღე იაროს ავადმყოფმა ჩემთან, საჭირო იქნება თუ არა, ეგ სულ ერთია, და ყოველ დღე თითო მანეთი გაუშოს მაგიდაზედ (ქართულად მოგახსენებთ, ვინაიდგან პატრიოტი გახლავართ!), აგრეთვე იმ მეაფთიაქესთან იყიდოს წამალი, რომელსაც მე დაუნიშნავ; ეგ იმიტომ გახლავთ საჭირო, რომ ის მეაფთიაქე ფასში არ მიატყუებს, ჩვეულებრივზედ ერთი ათად ძვირად ეღირება და იმ ფულიდგან რიგიანი პროცენტი მე მეძლევა... აგრეთვე ჯანსაღ ადამიანს ისე შევაშინებ, რომ მართლა წამლობა დასჭირდეს და იმითიც მე ვისარგებლო, ე. ი. მე-კი არა, ის მოვარჩინო... ერთის სიტყვით ჩემი მოგონილი სენი გაუჩინო,—უკაცრაოდ ჩემი მოგონილი საშუალებით ისარგებლოს.

ამნაირად ვცდილობ ქართველ და საზოგადოთ ტფილისის საზოგადოებისთვის, რის გამოც იმედი მაქვს ღირსეულად დამაფასებენ.

სხვა ექიმებსაც ვაძლევ წინადადებას, მომბაძონ და ისარგებლონ ჩემი მოგონილის წამლით,—იმათ როგორც კოლლეგებს არაფერს გამოვართმევ, ოღონდ პროტექცია გამიკეთონ ხალხში, ისიც მეყოფა...

მეცნიერი ექიმი მინაშვილი.

ივ—ელ.

II

სტუდენტი ცერცეტიანცი ამით ვუცხადებ ჩვენ ზარმაც, მოქეიფე, მობილიარდე, მობანქოვე, მოარშიყე და კოხტა-პრუწა სტუდენტებს, რომ განაგრძონ ძვირფასი ყოფა-ცხოვრება... ეგზამენებისა ფიქრი და დარდი „მიჰ-უჰნექ!“ *). როდესაც მოვიდეს დრო ეგზამენებისა, ჩაიდგით ერთი ბოთლი სიტყვის არაყი ჯიბეში და მე გიჩვენებთ კაცს (სტუდენტს რა თქმა უნდა, რომელიც თქვენს მაგივრად სულ ხუთებზე დაიჭერს ეგზამენს. ამ გვარად: სულაც რო არ შეიხედოთ აუდიტორიაში, თვალითაც არ დაინახოთ უნივერსიტეტი და არაოდეს არ გაიგონოდ პროფესორის ხმა. წყალობითა ერთის ბოთლის არყისათა „დეპლომ-ატესტატი“ ჯიბეში გედებათ ხუთებით სავსე და ვინ მიხვდება რო თქვენ მხოლოდ ირიცხებოდით სტუდენტათ, გეცვათ ფორმა და სხვა არა გაგიკეთებიათ·რა. ხო იცით ძმაო, რომ დიპლომია საქმე, დიპლომი და ეს ხო ხუთებით სავსე გექნებათ. თავში თუ „ვოჩ-ინჩ-კლი“, **) ე. ი. თუ თავში არა გეყრებათ-რა, ჯიბეში მძლეთა-მძლე „ატესტატი დიპლომი“—ხო მზათ არის!? ეს ქვეყანაც, ეს ხანაც ხო „დიპლომ-ატესტატობისაა!? და მზად არის თქვენთვის; მბილი და თბილი ადგილი. „ჰმა“—ფულებს მოხვეტამთ ჰა!?.

კვიმატი.

დეპეშები

(შურდულის დეპეშათა სააგენტო)

6 ივნისი

ბათომი. „ჩერნომორ. ვესტნ.“-ის რედაქტორს პალმს ზაფრა აეშალა და ფილენჯის ქარმა მოუგრიხა სახე,—რატომ ქართველი აირჩიეს გამგეობის წევრადაო.

პეტერბურგი. პან გუსტავ ემერიკი, რომელიც დიდის მუქარით მოვიდა ზდანოვიჩის გასაციმბირებლად, კუდ-ამოძუებული გაისტუმრეს,—კოხანე პანე, ჩხირ-კედელაობაში კალისტრატ ჩიკვაიძეს ნუ ეცილებიო.

ხეჩუაანთ-ბანაკი. გუშინ, საღამოს 7 საათზედ, კინაღამ ერთი უბედურობა დატრიალდა: საშინელ ელვა-ქუხას მოჰყვა კოკისპირული წვიმა; მთაწმინდიდან წამოსულმა ნიაღვარმა ჩამორეცხა ქუჩები, წამოიღო მთელი ჰუჰყი და, რადგან „Тифл. Лист.“-ის რედაქცია მეტად დაბლა სდგას, პირდაპირ იქ შევარდა; ზოილს ყელამდე შემოსდგომოდა ეს წუმპე, მაგრამ გადაეწერა პირჯვარი, ეხსენებია ეშმაკი, ეწყო ვედრება—„ჰოი სატანავ, მიხსენ მონა შენი განსაცდელისაგანაო“, ეკრა მხარული და გამოეცურა. როდესაც „Тифл Лист.“-ის ამქარმა გადარჩენა მიულოცა, ზოილმა მოწყალეთ გაუღიმა და უპასუხა: როგორ დავიხრჩობოდი? განა პირველათ ვცურაობ ამგვარ მორევშიო.

7 ივნისი.

ქუთაისი. ქალაქის სალაყბო (იგივე ბულვარი). საქველ-მოქმედო სეირნობა დაიწყო, კიოსკებში მარჯვედ ვაჭრობენ ნაირ-ნაირ ჭორებით, რომელშიაც ერთმანერთს ეჯიბრებიან მანდილოსნები და... „გასართობის“ სტუდენტობა.

ოზურგეთი. ადგილობრივი ახალგაზდობა მოუთმენლად მოელის ერთს „განათლებულ“ ლაქიას, რომელსაც ქალაქს თუ ბაქოში ზედმიწევნით შეუსწავლია „ტანცაობა“. უიმისოდ საზაფხულო სეზონი ვერ დაიწყება. ერთი ა დემიელი-სტუდენტი—პიიტიკოსი, რიტო რიკოსი და სრულიად განსწავლული გვამი,—ჯერ შარშანაც ქადაგობდა,—ადამიანს ო რამ ანვითარებს,—ისევ ცეკვა-ხტუნვაო. მხ ლოთ არ ვუწყით, ეს ჭეშმარიტება რომე „ბოლოსლოვიის“ წიგნში ამოიკითხა.

ჭიათურა. კარპე მოდებაძის თავზე კო ძი ამოსულია; ზოგნი ამბობდნენ,—რქა ამ დის ზდანოვიჩის სარქენადაო; ზოგს ეგონ ალბად ჭკუამ ამოხეთქაო; მაგრამ დავით ლო ნიძის რჩევით ექიმ პიჯინაძეს უმკითხავნია,—ეს აბანოს ბრალიაო. ამის შესახებ ოქმ შეადგინეს და საქმის წარმოება ქუთაი ცნობილ ვექილებს—კალისტრატესა და კ რკელიას მიანდეს,—ამ გვარი საქმეები ემ ჯვებათო.

—

(გოჩიას სააგენტოს დეპეშები).

7 ივნისი.

ქუთაისი. დასრულდა ვაი-ვაგლახით ეგ მენები, ყველამ სტუდენტის ფორმა ჩაი მუდამ ბულვარზედ მოტანტალე ქალები ლოლუს ქათინაურით, პარუსკობენ და პარ კობენ მთელი დღე; შიგა და შიგ მუსაი ქართულსაც ურევენ წამლად, ამათ საქცი არც მშობლები იწუნებენ. ამათ მიბაძეს მ რე და მესამე კლასებიდგან გამორიცხულ

---

*) «ბუფი» ჰქვია სახელად რესტორანს, რომელიც ქალაქ გარეთ იმყოფება, რესტორანს აქვს ბაღი და სცენა. სცენაზე მღერიან „შანსონეტკები». ბაქოს „ბალა-ბალა“ ქალ-კაცი ბევრი დაიარება იქ.— ავტორი.

*) „მიჰ-უჰნექ“ სომხურია და ნიშნავს ნუ გაქვთ.

**) „ვოჩ-ინჩ-კლი“—არა იქნება რა.

ბოსტნები, ბაღები და დათესილი მინდვრები. რამდენიმე კაციც იმსხვერპლა.

შანხაი. რადგანაც ამერიკისა და იაპონიის რწმუნებულნი წინააღმდეგნი იყვნენ ჩინეთთან ვაჭრობის ხელშეკრულობის საქმე შანხაიდან პეკინში გადატანისა, ამისათვის ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც თანხმობა გამოაცხადა მათ წინადადებაზე.

ზემლინი. დეპუტაცია გაემგზავრა ჟენევისაკენ. დედოფალ დრაგას დები—ვენას.

სტამბოლი. ამბობენ ნაჩევიჩის ყოფნის დროს სტამბოლში ინგლისმა ურჩია პორტას შეთანხმდეს ბულგარიასთან და ჩააქროს მაკედონიის აღელვებაო. ოსმალეთის მხრით არავითარი პასუხი არ ყოფილა ჯერ ამის შესახებ, რადგანაც რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთთან სხვა-და-სხვა მოლაპარაკება აქვს. ესეც, რომ არ იყოს, დათმობა კომიტეტებს უფრო გააგულდიდებს ენერგიულად შეუდგებიან მათ მიერ დაწყებულ მოქმედებას.

ბელგრადი. მთელი სერბია ზიზღით იხსენებს ზოგიერთ გაზეთების ინსინუაციებს, რომლითაც ამტკიცებენ, ვითომც 29 მაისს მომხდარ ამბავში დღევანდელი მთავრობის წევრნი ღებულობდნენ მონაწილეობასო.— 6 ივნისადან ძალაში შევა 1888 წლის კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტმა შეასწორა და შეავსო. ახალ კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ სამეფო გვარად ყარა-გიორგიევიჩის დინასტია ითვლება; ტახტის მემკვიდრედ პირველი ვაჟიშვილი მეფისა. წინანდელი დინასტიის პრივილეგიები გაუქმებულია. ამორჩევლად სირბიის პარლამენტში ითვლება ყველა სერბიელი 25 წლის მოქალაქე, რომელიც-კი იხდის 15 ფრანკს პირდაპირ გარდასახადს, მინისტრები მაშინაც-კი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი, როცა მათი მოქმედება მეფის განკარგულებით ხდება. მათ არა აქვთ უფლება კონსტიტუციის წინააღმდეგ წავიდნენ. მეფეს არა აქვს უფლება აპატიოს მინისტრებს დანაშაული, რომლებსაც სასამართლო დასჯის კონსტიტუციის კანონის დარღვევისთვის.— მეფე მობრძანდება ოთხშაბათს დილით.

ჟენევა. მეფე პეტრე 5 ივნისს მიბრძანდა სამხედრო ამალაში. სადაც სადილად იყო მიწვეული; მეფეს წაბრძანება ორშაბათს არის დანიშნული.

ბელგრადი. ცვლილებები კონსტიტუციაში აცნობეს მეფეს. მეფემ მოიწონა ახალი კონსტიტუცია.

ბერლინი. როგორც „ფრონ. ფურტის გაზეთი“ იუწყება, ნანჩევიჩის მოგზაურობას სტამბოლში პლატონიური ხასიათი აქვს. მან კარგ გუნებაზე ნახა ხონთქარი და ყველაზე უკეთეს მეგობრად სთვლის მას ბულგარიისათვის. ხონთქარმა განუცხადა, რომ ეცდება ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის მიერ წარმოდგენილნი რეფორმები სისრულეში მოიყვანოს და მეტიც გააკეთოს, თუ მაკედონია დამშვიდდებაო. ნანჩევიჩს ჰგონია, რომ მისი შუამავლობა ჯერ არ დათავებულა; მთავარ ვეზირს ისევ მიუპატიჟებია იგი ორი თვის შემდეგ ოსმალეთში. ელჩები თხოულობენ ისეთს რეფორმის შემოღებას, რომელიც ბოლოს მოუღებს მაკედონიის არეულობას.

კიევი. 6 მაისს კიევის პეჩორის გიმნაზიის 30 მოსწავლე დირექტორის ხელმძღვანელობით გაემგზავრნენ უცხოეთს.

ბელგრადი. დედოფალ დრაგას და—ქ-ნი პეტროვიჩი თხოულობს დედოფლის ქონების აღმოჩენას.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოგვეყენებულია ახალი შეცვლილი წესები და კანონები აქციონერთა დამზღვევ საზოგადოებათა სავალდებულოდ.

7 ივნისი

მოსკოვი. სლავიანთან საზოგადოებამ გადიხადა სერბიის მეფე დედოფლის მოსახსენებლად პანაშვიდი.

ბორჯომი. საექიმო სეზონი ივლისიდან იწყობა. მოდიან მოაგარაკენი ექიმნი ბორჯომის მინერალურის წყლებით ექსპორტი დიდის წარმატებაში მიდის.

ვენა. გრაფი ტისსა და ბარონ ფეიერფარი აქ მოვიდნენ.

ბუდაპეშტი. იუწყებიან რომ ტისსამ უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზეო.

პარიჟი. იტალიის ელჩმა გამოაცხადა რომ იტალიის მეფის პარიჟში გამგზავრება თავაზიანობა-ზრდილობის ნიშანიაო, მეფეს თანახლდება გარეშე საქმეთა მანისტროა მოგზაურობის ოფიციალური ხასიათი ჰქონდეს. ამ ჟამად საფრანგეთსა და იტალიის შორის არ არის იმისთანა საგნები რომ გადასწყვეტა ესაჭიროებოდეს. აგრეთვე არიპოლისის შესახებ არსებობს რაიდიპლომატური გაჭირვება.

სოფია. ნაჩევიჩი დაბრუნდა გუშინ და მთავრობას წარუდგინა ანგარიში თავისი მისიისა. მან განაცხადა, რომ პორტა შეუდგება მაკედონელთა ბედის გაუმჯობესებასაო. დიდთა რეფორმათა მოსახდენად პორტა თხოულობს, რომ ჯერ მხარე დამშვიდდესო. შემდეგ მოლაპარაკებისა მთავრობის წრეებთან სულთანი თანახმაა, რომ ნაჩევიჩი ხელახლა მივიდეს სტამბოლში.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
პარიჟის დისკონტი	5—6 1/2 %
5% სახელმწიფო რენტა	98 3/8 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100 7/8 მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	95 1/4 წვ. გაყ.
5%ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	446 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	340 1/2 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	291 [illegible]/2 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	83 [illegible]/4 გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	91 7/8 გაყ.
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	3325 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	189 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

10 ივნისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. ფედოტ ლაკტიონოვისა და კოსტანტინე ხიზანაშვილის საქმე.
2. ივანე ბელალოვისა და დავით ბაქრაძის საქმე.
3. გორიგოლ ნადარეიშვილისა და პეტრე კრაინენკოს საქმე.
4. სალომე ნაცვალიშვილისა და ანნა მინასბეგოვის საქმე.

და ამ ჟამად ჩვენმა მტრებმა რომ ქუთაისი ნახოს, გული გაუსკდება: მთელი ქუთაისი ერთ დიდი უშველებელი უნივერსიტეტი ეგონებათ და ბულვარი სტუდენტ ქალთა და ვაჟთა დიდი საკრებულო. აშკარად ეტყობა ამ ახალ-გაზდობას, რომ ერთი დიდი ღირსებით უხვად არიან დაჯილდოებულნი—„მატრაკვეცაობით“...

—

ქუთაისი. ფოსტა რომ ველარ მოერია სხვა-და-სხვა დიდ ქალაქებში გასაგზავნ „დანოსებს“, ეხლა ბაგაჟით გზავნიან. იმედია ჩქარა საქონლის მატარებლით დაიწყებენ გზავნას და რკინის გზას ერთი ორად მოემატება შემოსავალი.

—

ქუთაისი. დიდიმ ჩიკვაიძემ ოქროს ვარაყიან ჩარჩოში ჩასვა პალმის გაზეთი „ჩერნომორის ვესტნიკი“ და კალისტრატეს მიართვა. გაზეთი „ჩინამორ. ვესტნიკი“ ამ გვარსავე ჩარჩოში ჩასმულ პალმის სურათით, სახატეზედ დაასვენეს და ყოველ დღე მოწიწებით თაყვანსა სცემენ.

რედაქტორ-გამომცემელი ია. ერაძე.

განცხადება

СЛИВОЧНОЕ МЫЛО
НЕГА
ТОВАРИЩЕСТВА
А. РАЛЛЕ и Ко
МОСКВА.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი წიგნაკები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი . . . . 15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით . . 6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა) . . . 5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა . . . . 5 ,,
ვაჟრული ჭკუა, ლექსი აკაკისა . . . . . 5 ,,
დათუნა გოცირიძე / **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა . . . . . 5 ,
აბრამის და იობის ლექსი . . . . 3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . . . . . 5 ,,
ორი ქოსატყუილა / **ბიჭია მენახირე** / **მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი. 10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების ყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

შაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც. ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

(6—უ—6)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირი-სახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს ღელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიებებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—22)

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ორდინატორი

ექიმი ა. ი. ღალარჯაშვილი.

ძიიღებს ზაფხულის განმავლობაში ოც აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილთ ავადმყოფთ.

(5—144—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общес-

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☛ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.** ☚

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მკურნალები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—33)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი